საპატრიარქოს უწყებანი

№ 34
904

22-28 ნოემბერი 2018 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან

ფასი 70 თეთრი

საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

- ✠ ქადაგება
- ✠ სახარების განმარტება
- ✠ დოქიარის მონასტრის ხატი „მსწრაფლშემსმენელი“
- ✠ ამბები ეპარქიებიდან
- ✠ ქორწინებისთვის
- ✠ „მისი სახე ნანგრევებიდან გვიყურებდა“— იესო ქრისტეს გამოსახულება ისრაელის უდაბნოს უძველეს ტაძარში
- ✠ დეკანოზი ნიკოლოზ გაგუნაშვილი 1868 — 1945

რუსთავის წმინდა გიორგის ხატი

პროფესორი თენგიზ ირემაძე იტალიაში გამართულ საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესზე

ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორი, პროფესორი თენგიზ ირემაძე მონაწილეობდა საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესში „ეთიკა, პოლიტიკა და მსოფლიო ისტორია", რომელიც 2018 წლის 24-27 ოქტომბერს ურბინოს უნივერსიტეტში (იტალია) გაიმართა. პროფესორი ირემაძე კონგრესზე წარსდგა მოხსენებით: „სახელმწიფოს ფილოსოფია და სამართლის თეორია ქართულ განმანათლებლობაში". მოხსენებაში მან ყურადღება გაამახვილა ქართული ფილოსოფიის სპეციფიკაზე და აღნიშნა, რომ ქართული ფილოსოფია თავისი არსით ქრისტიანული ფილოსოფიაა, რომ დიდი ქართველი ფილოსოფოსები საბჭოეთის ეპოქამდე (ქართული საბჭოთა ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებამდე) ქრისტიანი მოაზროვნეები არიან. პროფ. ირემაძემ წარმოადგინა ფილოსოფიური და ისტორიული არგუმენტები/დოკუმენტები, რომელზე დაყრდნობითაც მან სრულიად ლეგიტიმურად მიიჩნია „ქართული განმანათლებლობის" შესახებ საუბარი. მისი აზრით, ევროპული განმანათლებლობის დიადი იდეები და იდეალები საუკეთესო სახით წარმოჩნდა ახალი დროის ქართველ მოაზროვნეთა ქმნილებებში (ალექსანდრე ამილახვარი, იაგორ ჭილაშვილი, იოანე ბატონიშვილი და სხვ.). მან, ასევე, ისაუბრა ახალი დროის ქართულ აზროვნებაში ევროპული განმანათლებლობის მთავარი წარმომადგენლების შემოქმედების რეცეფციისა (ასახვისა) და ტრანსფორმაციის (გარდასახვის) ისტორიის შესწავლის აუცილებლობაზე. ამ კუთხით სამომავ-

ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ: პროფ. ჟილ მარმასი (პუატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი), პროფ. თენგიზ ირემაძე (ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო), პროფ. ნორბერტ ვასცეკი (სორბონის უნივერსიტეტი, საფრანგეთი), პროფ. ჰანს-მარტინ ზასი (ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, აშშ).

ლო კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მან დასახა ევროპული განმანათლებლობის კვლევა კავკასიური აზროვნების კონტექსტში, რაც ახალი საქართველოს უნივერსიტეტში არსებული ძირითადი სამეცნიერო-სტრუქტული ერთეულის, კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი არქივის სამუშაო პროგრამის ნაწილიცაა. ამ კვლევების შედეგადაც ნათელი გახდება, რომ განმანათლებლობის სულისკვეთება ევროპის საზღვრებს გასცდა და კავკასიური აზროვნების ინტეგრალური ნაწილიც გახდა.